

არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

1. ნეოლითური კულტურის ტიპური ელემენტებია
 1. სატევარი, შუბისპირი
 2. ჭვირული ბალთა
 3. სამეთუნეო ჩარხი
 4. ქვის ცული, კერამიკა
2. ლითონის ათვისების პირველი პერიოდია
 1. მეზოლითი
 2. შუა ბრინჯაოს ხანა
 3. ენეოლითი.
 4. ელინისტური ხანა
3. როდის ეყრება საფუძველი ოქრომჭედლობას საქართველოში?
 1. ძვ. წ. IV ათასწლეული
 2. ძვ. წ. III ათასწლეულის II ნახ.
 3. ძვ. წ. IV – I საუკუნეები
 4. ახ. წ. XI-XII საუკუნეები
4. როდის აითვისეს რკინა?
 1. ძვ. წ. XV ს.
 2. ძვ. წ. I ს.
 3. ძვ. წ. VII ს.
 4. ძვ. წ. XII ს.
5. არქეოლოგია სწავლობს
 1. ადამიანის მიერ შექმნილ კულტურული მემკვიდრეობის ნაშთებს
 2. ნიადაგის სტრუქტურას
 3. დედამიწის აგებულებას
 4. კარტოგრაფიას
6. რომელი კულტურის დამახასიათებელი ელემენტია ბრინჯაოს T-ებრი საკინძი საჩხერის, ქორეთის, პასიეთის სამარხებიდან:
 1. ყორღანულის
 2. მტკვარ-არაქსის
 3. ელინისტურის
 4. თრიალეთურის
7. ოქროს თასი მოოჭვილი აპლიკაციებით, ფილიგრანით და ინკრუსტირებული ძვირფასი ქვებით განეკუთვნება
 1. ადრებრინჯაოს
 2. შუაბრინჯაოს
 3. გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანას
 4. განვითარებულ შუასაუკუნეებს

8. საქართველოს ტერიტორიაზე ქრონოლოგიური თანმიმდევრობით გამოვლენილი უძველესი დასახლების ტიპებია
 1. გამოქვაბული, ნასადგომარი, ნასოფლარი, გორანამოსახლარი
 2. ნასოფლარი, გორანამოსახლარი
 3. გამოქვაბული, ეხი
 4. ქალაქური ტიპის დასახლება, ნასადგომარი

9. ოფიციალურ ცერემონიათა სვეტებიან დარბაზს აქემენიდურ ხუროთმოძღვრებაში ეწოდება
 1. ჰეხსედური დარბაზი
 2. აივანი
 3. აპადანა
 4. ატრიუმი

10. თრიალეთის დიდი ყორღანების კულტურის ოქრომჭედლობის ნიმუშის – ვერცხლის თასის რიტუალური სცენებით - დამზადების ტექნოლოგიური სქემაა
 1. ჩამოსხმა
 2. ჭედვა
 3. ფურცლოვანი ნამზადის გაწნევა
 4. გლინვა.

11. გრავირებული კოლხური ცული წარმოებულია
 1. ძვ. წ. III ათასწლეულში
 2. ძვ. წ. II ათასწლეულში
 3. ძვ. წ. I ათასწლეულში
 4. ადრეულ შუასაუკუნეებში

12. რკინის კულტურის ფართო ათვისების ხანა საქართველოში არის
 1. ძვ. წ. XV-XII სს.
 2. ახ. წ. I-IV სს.
 3. ძვ. წ. IV-I სს.
 4. ძვ. წ. VII-VI სს.

13. ბრინჯაოს ჭვირული ბალთების გავრცელების პერიოდია
 1. ადრებრინჯაოს ხანა
 2. გვიან ბრინჯაოს ხანა
 3. ახ. წ. XI-XII სს.
 4. ძვ. წ. II – ახ. წ. III სს.

14. როგორ თარიღდება კოლხეთის ოქრომჭედლობის ნიმუში – ვერცხლის დიადემა?
 1. ელინისტური ხანით
 2. გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანით
 3. განვითარებული შუასაუკუნეებით
 4. შუაბრინჯაოს ხანით

15. რომელ პერიოდს განეკუთვნება დიდი მცხეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ტორევეტიკის ნიმუშები: – ვერცხლის სურა არმაზისხევიდან, ვერცხლის ფიალა ბაგინეთიდან?

1. ელინისტურს
2. გვიანშუასაუკუნეებს
3. განვითარებულ შუასაუკუნეებს
4. გვიანანტიკურს

16. კოლხური თეთრის ფუნქციონირების პერიოდია:

1. ძვ. წ. X – VII სს.
2. ძვ. წ. VI – III სს.
3. ახ. წ. II – IV სს.
4. ახ. წ. XI - XII სს.

17. კოლხური თეთრის დამზადების ტექნოლოგიის სახეა

1. ჩამოსხმა
2. ჭედურობა
3. თეგვა
4. ტვიფრვა

18. ცვილის მოდელის ტექნოლოგიით ბრინჯაოს ნაკეთობათა ჩამოსხმის ათვისების პერიოდია

1. ძვ. წ. III ათასწლეული
2. ძვ. წ. IV ათასწლეული
3. ახ. წ. I ათასწლეული
4. განვითარებული შუასაუკუნეები

19. ორგანული წარმოშობის მატერიალური კულტურის ძეგლების მასალაა

1. მეტალი, შენადნობი, კერამიკა
2. წარმოების წიდა
3. სილიკატური მასალა
4. ხე, ქსოვილი, ტყავი

20. არქეოლოგიური ლითონებიდან კოროზიის მიმართ ყველაზე არამდგრადია

1. რკინა-ფოლადი
2. სპილენძი-ბრინჯაო
3. ოქრო-ვერცხლი
4. თითბერი

21. ტერმინი მატერიალური კულტურის ძეგლთა ბუნებრივი “დაბერება” ნიშნავს

1. ძეგლის ზედაპირულ ფერთა გამის ცვლილებებს

2. მატერიალური კულტურის ძეგლზე ქიმიური რეაქტივების მოქმედებით გამოწვეულ ცვლილებებს ძეგლზე ბუნებრივი და ეკოლოგიური ფაქტორების
3. დროში მოქმედების შედეგად გამოწვეულ ზედაპირულ და სტრუქტურულ ცვლილებებს
4. ორგანული მასალის ბოჭკოვანი სისტემის გადაადგილებას

22. სილიკატურ მასებს განაკუთვნება

1. მეტალურგიული წარმოების ნარჩენები
2. კერამიკა
3. ხის მასალისგან ნაკეთები ნიმუშები
4. ლითონური შენადნობისგან მიღებული ექსპონატები

23. თბილისში თამარ მეფის სასახლე მდებარეობდა

1. ნარიყალაზე
2. სიონ-ანჩისხატის ტერიტორიაზე
3. სოლოლაკში
4. ისანში

24. მოხატული კერამიკის წარმოების უძველესი ნიმუშები კავკასიაში თარიღდება

1. ძვ.წ. I ათასწლეულით
2. ელინისტური ხანით
3. ახ.წ. XII-XIII სს-ით
4. ძვ.წ. II ათასწლეულის პირველი ნახევართ

25. უძველესი მომინანქრების ნიმუშები ცნობილია

1. ევროპიდან
2. სამხრეთ ამერიკიდან
3. აღმოსავლეთ აზიიდან
4. ავსტრალიიდან

26. ქართული ტიხრული მინანქრის წარმოებამ მხატვრული განვითარების უმაღლეს დონეს მიაღწია

1. ძვ.წ. IV-III სს-ში
2. ახ.წ. II-III სს-ში
3. ახ.წ. IX-X სს-ში
4. ახ.წ. XI-XII სს-ში

27. ელინისტური ხანის ოქრომჭედლობის თავისთავადი სახეა

1. ცვარა
2. გრავირება
3. ფილიგრანი
4. სევადა

28. ნაკეთობათა ძვირფასი ქვებით შემკობის მეთოდია

1. ჭდურობა
2. მომინანქრება
3. ინკრუსტაცია
4. მოზაიკა

29. აპლიკაციით დამზადებული უძველესი ძვირფასი ლითონის ნაკეთობა არის

1. ვერცხლის თასი რიტუალური სცენებით (ძვ.წ. II ათასწ.)
2. ოქროს თასი ფილიგრანით და ინკრუსტაციით (ძვ.წ. II ათასწ.)
3. ვერცხლის სურა (ახ. წ. III ს)
4. სარეცლის ვერცხლგადაკრული ფეხის ნაწილები (ახ.წ. III ს.)

30. ისტორიული ნიკელიანი ბრინჯაოს არტეფაქტების წარმომავლობა უკავშირდება

1. აღმოსავლეთ ევროპას
2. ირანის პლატოს
3. კავკასიას
4. ჩინეთს

31. ძველი ნიკელიანი ბრინჯაოს გავრცელების პერიოდია

1. ძვ.წ. IV ათასწლეული
2. ძვ.წ. III ათასწლეული
3. ძვ.წ. I ათასწლეული
4. განვითარებული შუა საუკუნეები

32. კავკასიაში გავრცელებული რომელი კულტურის ელემენტია სეგმენტური იარაღი?

1. მტკვარ-არაქსის
2. ბედენის
3. კოლხეთის
4. თრიალეთის

33. ქართლის გაქრისტიანების ისტორიას მოგვითხრობს

1. სუმბატ დავითის ძე
2. ლეონტი მროველი
3. ჯუანშერი
4. ბასილ ეზოსმოდვარი

34. ბიზანტიელებმა ეგრისში თავიანთი პოზიციების განსამტკიცებლად ააგეს

1. ციხე-გოჯი
2. სებასტოპოლისი

3. პეტრა
4. ანაკოფია

35. ადამიანი გაჩნდა

1. ორას ორმოცდაათათასი წლის წინათ
2. ორი მილიონი წლის წინათ
3. რვა მილიონი წლის წინათ
4. მილიონი წლის წინათ

36. უძველესი ქართულენოვანი წარწერა საქართველოს ტერიტორიაზე შემორჩენილია

1. მცხეთის ჯვარში
2. სვეტიცხოველში
3. ბოლნისის სიონში
4. თბილისის სიონში

37. ტოპონიმ “მცხეთის” წარმოშობას უკავშირებენ

1. მესხების
2. ხალიბების
3. კოლხების
4. ლაზების სახელს

38. წინაქრისტიანულ საქართველოში გაგრძელებული არ იყო

1. იუდაიზმი
2. მითრაიზმი
3. ზოროასტრიზმი
4. ბუდიზმი

39. წმ.ნინოს ვაზის ჯვარი დაცულია

1. სვეტიცხოველში
2. მცხეთის ჯვარში
3. თბილისის სიონში
4. ურბნისის სიონში

40. მცხეთაში უფლის კვართი ჩამოიტანა

1. სიდონიამ
2. ნინომ
3. სარა ნიფორმა
4. ელიოზმა

41. შუა საუკუნეების საქართველოს სამშენებლო ტექნიკის მახასიათებელია

1. ქვის მშრალი წყობა
2. ქვა კირის დუღაბზე
3. ალიზი ბეტონზე

4. თაბაშირის ხსნარის ტექნიკა
42. ქართველთა საცხოვრებლის არქიტექტურული თემა წარმოადგენს
1. ატრიუმს
 2. მეგარონს
 3. დარბაზს
 4. პერისტილს
43. გუმბათიანი ეკლესიების აგება საქართველოში დაიწყო
1. IV ს
 2. V ს
 3. VI ს
 4. VII ს-ში
44. კოშკიანი საცხოვრებელი კომპლექსები გავრცელებულია
1. სვანეთში
 2. აფხაზეთში
 3. ხევში
 4. რაჭაში
45. ქართული მეცნიერული კარტოგრაფიის ფუძემდებელია
1. ბერი ეგნატაშვილი
 2. ვახუშტი ბაგრატიონი
 3. პაპუნა ორბელიანი
 4. სეხნია ჩხეიძე
46. 1917 წელს არქეოლოგიურ ექსპედიციას სამხრეთ საქართველოში ხელმძღვანელობდა
1. ექვთიმე თაყაიშვილი
 2. ივანე ჯავახიშვილი
 3. აკაკი შანიძე
 4. ნიკო მარი
47. ქართლის სამეფო ანუ
1. იბერია
 2. დიაოხი
 3. კულხა
 4. ეგრისი
48. დავით აღმაშენებლის მონეტაზე გამოსახულია
1. წმ.გიორგი
 2. მთავარანგელოზი
 3. დავით IV

4. ბიბლიური მეფე დავითი

49. თავდაცვით ნაგებობას საქართველოში ეწოდება
 1. ციტადელი
 2. აკროპოლისი
 3. ციხე
 4. ფორტი

50. სასანური სარიტუალო ვერცხლის თასების ფსკერზე შესრულებული კომპოზიციები ყველაზე ხშირად წარმოგიდგენს
 1. კორონაციას
 2. ორნამენტულ დეკორაციას
 3. ნადირობას
 4. მოხარკეებს შაჰინშაჰის წინაშე

51. რომელი მდინარეების აუზში ჩაისახა ქართული ეთნიკური კულტურა და ცივილიზაცია?
 1. ენგურის, ცხენისწყლის, რიონის
 2. მტკვრის, არაგვის, ალაზნის
 3. ჭოროხის, რიონის, მტკვრის
 4. მტკვრის, იორის, არაქსის

52. პირველი ადამიანი საქართველოს ტერიტორიაზე დასახლდა
 1. 20 მილიონი წლის წინათ
 2. 1 მილიონ 800 ათასი წლის წინ
 3. 30-40 ათასი წლის წინათ
 4. 10 ათასი წლის წინათ.

53. მატერიალური კულტურის ძეგლია
 1. არქეოლოგიური მასალა
 2. ლინგვისტიკური მასალა
 3. ენათმეცნიერების კანონები
 4. ნარატიული ძეგლები

54. საქართველოში პირველიყოფილი ადამიანის ცხოვრების ნაშთები აღმოჩნდა
 1. წალკის პლატოზე
 2. ბოლნისში
 3. დმანისში
 4. რუსთავში

55. „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ ეკუთვნის
 1. ჯუანშერ ჯუანშერიანს
 2. სუმბატ დავითისძეს
 3. ვახუშტი ბატონიშვილს

4. ლეონტი მროველს

56. უძველეს (პრეისტორიულ) პერიოდს შეისწავლის
 1. ეთნოგრაფია
 2. ლინგვისტიკა
 3. არქეოლოგია
 4. თეოლოგია

57. რომელ უცხოელ ავტორს ეკუთვნის უძველესი ცნობა ქართველ ტომთა წარმომავლობის შესახებ?
 1. ჰეროდოტე
 2. ტაციტუსი
 3. ქსენოფონტე
 4. სტრაბონი

58. ევროპული ქართველოლოგიის ფუძემდებელი, XIX საუკუნის მოღვაწე
 1. თეიმურაზ ბაგრატიონი
 2. მარი ბროსე
 3. პლატონ იოსელიანი
 4. დიმიტრი ბაქრაძე

59. „ეთნოგენეზი“ ნიშნავს
 1. პოლიტიკურ ისტორიას
 2. ეკონომიკის განვითარებას
 3. ხალხის (ერის) წარმომავლობას
 4. დამწერლობის ისტორიას

60. ქართველთა ისტორიული ეთნოგენეზის თვალსაზრისის პირველი ავტორია
 1. ლეონტი მროველი
 2. ივ. ჯავახიშვილი
 3. ს. ჯანაშია
 4. გ. მელიქიშვილი

61. პირველყოფილი ხელოვნება ჩაისახა
 1. ნეოლითში
 2. მეზოლითში
 3. პალეოლითში
 4. ენეოლითში

62. ქართველთა ავტოქტონობის შესახებ თვალსაზრისის საფუძვლებია
 1. მატერიალური კულტურა
 2. სულიერი კულტურა
 3. არქეოლოგიურ-გეოგრაფიული და ენობირივი მონაცემები
 4. ჰიპოთეზა ერის წარმომავლობის შესახებ

63. კაცობრიობის ისტორიის ყველაზე ხანგრძლივი პერიოდია

1. ნეოლითი
2. პალეოლითი
3. ენეოლითი
4. ბრინჯაოს ხანა

64. ზედა პალეოლითის საზოგადოების განვითარებული თანაცხოვრების სახეა

1. ჯოგი
2. გვარი
3. თემი
4. ტომი

65. პირველყოფილ ადამიანთა რელიგიური წარმოდგენები ჩაისახა

1. ნეოლითში
2. მეზოლითში
3. პალეოლითში
4. ენეოლითში

66. ადამიანთა მწარმოებლური მეურნეობის საწყისი პერიოდია

1. ადრებრინჯაოს ხანა
2. პალეოლითი
3. ნეოლითი
4. შუაბრინჯაოს ხანა

67. უძველესი ლითონის ათვისება დაიწყო

1. 10 ათასი წლის წინათ
2. 8 ათასი წლის წინათ
3. 7 ათასი წლის წინათ
4. 2 ათასი წლის წინათ

68. ადამიანის მიერ ათვისებული პირველი ლითონია

1. რკინა
2. ვერცხლი
3. თუთია
4. სპილენძი

69. ბრინჯაოს ხანის ისტორიული პერიოდია

1. ძვ. წ. VII-VI ათასწლეულები
2. ძვ. წ. IV-II ათასწლეულები
3. ძვ. წ. I – ახ. წ. I ათასწლეულები
4. ძვ. წ. IX-VIII ათასწლეულები

70. მტკვარ-არაქსის კულტურის არსებობის პერიოდია

1. ძვ. წ. V-IV ათასწლეული
2. ძვ. წ. IV-III ათასწლეულის პირველი ნახევარი

3. ძვ. წ. II ათასწლეული
4. ძვ. წ. II-I ათასწლეულის პირველი ნახევარი

71. ყორღანული კულტურის ქრონოლოგიური დიაპაზონია

1. ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარი – II ათასწლეულის პირველი ნახევარი

1. ძვ. წ. II ათასწლეული
2. ძვ. წ. I ათასწლეული
3. ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარი – I ათასწლეულის პირველი ნახევარი

72. შუაბრინჯაოს ხანის კულტურის არსებითი ატრიბუტია

1. ორმოსამარხები
2. ქვაყუთები
3. მეგალითური ნაგებობები
4. ყორღანული სამარხები

73. თრიალეთის ბრწყინვალე ყორღანების კულტურის დამახასიათებელი არტეფაქტებია

1. შავი და ვარდისფერსარჩულიანი კერამიკა
2. რკინის იარაღი
3. ოქრომჭედლობის ნაწარმი
4. მინის ნაკეთობანი

74. გვიანბრინჯაოს ხანის საქართველოს ტერიტორიალურ-კულტურული გაერთიანებებია

1. მაიკოპის და კატაკომბების კულტურები
2. მტკვარ-არაქსის კულტურა
3. თრიალეთური კულტურა
4. დასავლურ ქართული და აღმოსავლურ ქართული კულტურა

75. უძველესი ქართული სახელმწიფოები – დიაოხი და კულხა მდებარეობდა

1. კავკასიის ჩრდილო-დასავლეთ რეგიონში
2. კავკასიის ჩრდილო-აღმოსავლეთ რეგიონში
3. კავკასიის სამხრეთ-დასავლეთ რეგიონში
4. კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში

76. უძველესი ქართული სახელმწიფოების დიაოხის და კულხას არსებობის ქრონოლოგიური ჩარჩოებია

1. ძვ. წ. XVI-XIV საუკუნეები
2. ძვ. წ. XII-VIII საუკუნეები
3. ძვ. წ. VII-VI საუკუნეები
4. ძვ. წ. V-I საუკუნეები

77. უძველესი ქართველი ტომები ხალიბები და მოსინიკები განთქმულნი იყვნენ

1. მესაქონლეობით
 2. მიწათმოქმედებით
 3. მეტალურგიით
 4. მეთუნეობით
78. კოლხეთის ბრწყინვალეების ამსახველი ცნობები დაცულია
1. ჰეროდოტეს „ისტორიაში“
 2. ქსენოფონტეს „ანაბაზისში“
 3. ურარტულ ლურსმულ წარწერებში
 4. აპოლონ როდოსელის „არგონავტიკაში“
79. კოლხეთის სამეფოს არსებობის პერიოდი
1. ძვ. წ. XIV-XI საუკუნეები
 2. ძვ. წ. X-IX საუკუნეები
 3. ძვ. წ. VII-VI საუკუნეები
 4. ძვ. წ. VI-IV საუკუნეები
80. კოლხური „თეთრის“ წარმოების ცენტრი
1. ვანი
 2. ფაზისი
 3. არქეოპოლისი
 4. დიოსკურია
81. ძვ. წ. V-IV საუკუნეებში აღმოსავლეთ შავიზღვისპირა ბერძნული ახალშენების ფუნქციაა
1. მოსახლეობის სოციალური სტატუსის ამაღლება
 2. კოლხეთის სამეფოზე პოლიტიკური გავლენა
 3. სავაჭრო ცენტრების დანიშნულება
 4. კულტურული გავლენის სფერო
82. კოლხეთის სამეფოს კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობის ქვეყნებია
1. სკვითების გაერთიანება
 2. კიმერიული სამყარო
 3. საბერძნეთი, აქემენიდური ირანი
 4. ბოსფორის სამეფო
83. ძველი ქართული ტრადიცია (ლეონტი მროველი) ქართლის (იბერიის) სამეფოს შექმნას უკავშირებს
1. აზოს
 2. სელევკს
 3. ფარნავაზს
 4. ქუჯის
84. ფარნავაზის ქართლის სამეფო ჩამოყალიბდა
1. ძვ. წ. V საუკუნეში

2. ძვ. წ. V-IV საუკუნეების მიჯნაზე
3. ძვ. წ. IV-III საუკუნეების მიჯნაზე
4. ძვ. წ. II საუკუნეში

85. ქართლის სამეფოს სოციალური სტრუქტურის შესახებ ცნობებს გვაწვდის

1. ჰეროდოტე
2. ქსენოფონტე
3. ტაციტუსი
4. სტრაბონი

86. პომპეუსის ღაშქრობა საქართველოში

1. ძვ. წ. 70 წელი
2. ძვ. წ. 68 წელი
3. ძვ. წ. 65 წელი
4. ძვ. წ. 55 წელი

87. გვიანანტიკური ხანის ქართლის სამეფოს ძლიერების პერიოდი (ფარსმან II)

1. ახ. წ. I საუკუნის პირველი ნახევარი
2. ახ. წ. I საუკუნის მეორე ნახევარი
3. ახ. წ. II საუკუნის დასაწყისი
4. ახ. წ. II საუკუნის მეორე ნახევარი

88. „არმაზის ბილინგვის“ შესრულებულის ენები

1. ბერძნულ-ლათინური
2. ბერძნულ-არამეული
3. არამეულ-ფრიგიული
4. ფრიგიულ-ლათინური

89. ფარნავაზის ქართლის სამეფოში უმაღლესი დვთაებაა

1. გაცი და გაიმი
2. კოპალა
3. არმაზი
4. ზადენი

90. რომელ ენათა ჯგუფს განეკუთვნება ქართული?

1. სემიტურს
2. იბერიულ-კავკასიურს
3. ინდო-ევროპულს
4. ქამიტურს

91. ვინ არის ქართლის პირველი ქრისტიანი მეფე?

1. მითრიდატე
2. მირდატი
3. ფარსმანი
4. მირიანი

92. ნიკეის საეკლესიო კრებას ესწრებოდა
1. ნეკრესის ეპისკოპოსი
 2. ბიჭვინთის ეპისკოპოსი
 3. წილკნის ეპისკოპოსი
 4. ჭყონდიდის ეპისკოპოსი
93. ქართლის გაქრისტიანების დროს რომის იმპერატორი იყო
1. ადრიანე
 2. ანტონინე პიუსი
 3. კონსტანტინე
 4. ტიბერიუსი
94. საქართველოში უფლის კვართის დაფლვის ადგილას აგებულია
1. ჯვარი
 2. სვეტიცხოველი
 3. ნეკრესი
 4. ზედაზენი
95. ქრისტიანობა ქართლში სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა
1. 313წ
 2. 523წ
 3. 326წ
 4. 453წ
96. სასანიანებმა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადეს
1. ზოროასტრიზმი
 2. ქრისტიანობა
 3. ისლამი
 4. ბუდიზმი
97. ქართულმა ეკლესიამ დამოუკიდებლობა მოიპოვა
1. მირიანის დროს
 2. ფარსმან ქველის დროს
 3. მირდატის დროს
 4. ვახტანგ გორგასლის დროს
98. მოციქულთაგან საქართველოს ტერიტორიაზე დაკრძალულია
1. ანდრია პირველწოდებული
 2. პეტრე
 3. სვიმონ კანანელი
 4. იუდა ისკარიოტელი
99. ელინისტური კულტურის გავრცელების პერიოდი საქართველოში
1. ძვ. წ. VII-VI საუკუნეები

2. ძვ. წ. VI - V საუკუნეები
3. ძვ. წ. IV-I საუკუნეები
4. ახ. წ. I-III საუკუნეები

100. საქართველოს ტერიტორიაზე ბერძნული ახალშენებია

1. ოლივია, ხერსონესი
2. პიტეუნტი, დიოსკურია
3. ვანი, შორაპანი
4. დაბლაგომი, კუტაია

ლიტერატურა:

1. ლორთქიფანიძე ოთ.; 2002, ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან. თბილისი.
2. შენგელია კ.; 2011, საქართველოს ისტორია. თბილისი.
3. ხაზარაძე ნ., თოდაძე ხ., ქუთათელაძე მ., ჯორჯიკია ნ.; 2009, საქართველოს ისტორია. თბილისი.
4. ჯაფარიძე ო.; 1991, საქართველოს არქეოლოგია. თბილისი.